

რ. ლამბაზიძე

ლოქისა და ხრამის მასივების პერიფერიების სანტონურ-დანიური
ვაუნა

Работа состоит из двух частей: в введении даются краткие сведения о стратиграфии сантон-датских отложениях Локского и Храмского массивов.

Во второй части описаны 36 форм (5 ежей, 24 иноцерама и 7 аммонитов), из которых два новых варьитета. Указанная фауна впервые описывается из сантон-датских отложений Локского и Храмского массивов.

წინამდებარე შრომაში მოცემულია 1956—57 წლების პერიოდში ლოქისა და ხრამის მასივების პერიფერიების ვულკანოგენური წყების ზედა ნაწილში და კარბონატულ წყებაში დაგროვილი ფაუნის აღწერა. ეს ნამარხები პირველადაა აღწერილი აღნიშნული რაიონების ზედა ცარცული ნალექებიდან. ვულკანოგენური წყების ასაკი ზედა სენომანურ-ქვედა კამპანურია. ლოქისა და ხრამის მასივების პერიფერიების უმეტეს ტერიტორიაზე, ლითოლოგიური ნიშნის მიხედვით, იგი სამ ქვეწყებად იყოფა: პირველი—ზედა სენომანურ-სანტონურია, მეორე და მესამე კი ქვედა კამპანური.

კარბონატული წყების ასაკი ზედა კამპანურ-დანიურს მოიცავს (დასახელებული წყებების სტრატиграფია დეტალურად არის გარჩეული ჩვენს წერილში [4]), შრომაში აღწერილი ნამარხები შეგროვილია სანტონურ-დანიურ ნალექებში და წარმოდგენილია 5 ზღარბით, 24 ინოცერამით და 7 ამონიტით.

აღნიშნული ფაუნის განსაზღვრაში ხელმძღვანელობა და დახმარება გამიწია პროფ. ა. ცაგარელმა, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვწირავ.

კლასი—ECHINOIDEA

ოჯახი—ECHINOCORYDAE

გვარი *Echinocorys Breynius*

Echinocorys pyramidatus Port.

ტაბ. I, სურ. 5.

1903. *Echinocorys pyramidatus* Lambert, p. 71, p. IV, fig. 4,5.

ნიმუში შიგა კალაპოტს წარმოადგენს, რომელზედაც ნაწილობრივ შერჩენილია ხეჭის კალციტის შრე. ნიმუშის ზომებია: სიგრძე—52 მმ (1), სიგანე—47 მმ (0,9), სიმაღლე—44 მმ (0,8).

ხეჭი ოვალურ-პირამიდული მოყვანილობისაა. უკანა მხარე ოდნავ შევიწროებულია; უდიდესი სივანე შუა ნაწილში აქვს. გვერდები გამობერილია. ისინი მომრგვალებულად, მაგრამ სწრაფად გადადიან ქვედა მხარეში.

თხემი მალალი და წვეტიანია. თხემიდან უკანა მხრისაკენ მიუყვება სუსტად გამოსახული ქედი.

აპიკალური აპარატი ცენტრულია და გრძელი. ამბულაკრული ფირფიტები გრძელია და დაბალი. ასეთივე ფორმისაა ინტერამბულაკრული ფირფიტები.

ამბულაკრული ფირფიტების შუაგულში მოთავსებულია პორათა წყვილქვილი. დასაწყისში ისინი ჰორიზონტულად არიან განლაგებულნი, ქვედა კიდესთან მიახლოებისას კი ოდნავ ირიბი ხდებიან. პორათა წყვილები დასაწყისში მიახლოებულია, შემდეგ კი თანდათან შორდებიან ერთმანეთს.

პერისტომი თირკმლისებური მოყვანილობისაა და ღრმად ჩამოჯდარი.

პერიპროქტი ოვალურია და კიდური.

ხეჭის ქვედა მხარე დაფარულია სუსტად გამოსახული კოპებით.

მსგავსება-განსხვავებანი—ნიმუში ფორმითა და აპიკალური აპარატის ხასიათით წააგავს *Echinocorys conicus* Agass.-ს, მაგრამ ეს უკანასკნელი უფრო მალალი და ვიწრო ხეჭით ხასიათდება, პორათა წყვილები კი თხემის მახლობლად მიახლოებული და მეტად ირიბად განლაგებული აქვს.

გავრცელება—საფრანგეთის კამპანურ-მაასტრიხტული.

სადაურობა—ხრამის ხეობა; სოფ. სისკლის მიდამოების კარბონატული წყების დანიურ კირქვებიდან.

კოლექცია—ავტორის.

რაოდენობა—ერთი.

Echinocorys cf. edhemi Böhm

ტაბ. I, სურ. 1.

1927. *Echinocorys edhemi* Böhm, S. 193, Taf. XII, Fig. 1.

1949. *Echinocorys edhemi* ცაგარელი, გვ. 176, ტაბ. XIII, სურ. 4,5.

საშუალო დაცულობის ერთი ნიმუში გვერდისა და ქვედა მხრის დეფორმაციის გამო ოდნავ შეზნექილია. სიგრძე—ნმ მმ (1), სივანე—59 მმ (0,88), სიმაღლე—45 მმ (0,66).

ხეჭი ოვალური მოყვანილობისაა, წინა მხარე ფართოდ მომრგვალებულია. უდიდესი სივანე ხეჭს წინა ნახევარში აქვს. გვერდები გამობერილია, და ქვედა მხარეში სწრაფად გადადიან.

აპიკალური აპარატი ცენტრულია და გრძელი. ინტერამბულაკრული ფირფიტები უფრო მალალია, ვიდრე ამბულაკრული. პორათა წყვილები ფირფიტების ცენტრში არიან მოთავსებული. ისინი თხემის მახლობლად ჰორიზონტულად არიან განლაგებული, ქვევით კი თანდათან ირიბი ხდებიან. წყვილთა რიგები ერთმანეთს დაშორებულია.

პერისტომი ოვალურია და ღრმად ჩამოჯდარი. პერიპროქტი ოვალურია და კიდური.

მსგავსება-განსხვავებანი—ნიმუში ფორმითა და აპიკალური აპარატის საერთო აგებულებით ჰგავს *Echinocorys ovatus* Lesk.-ს, მაგრამ ეს უკანასკნელი უფრო მოკლე აპიკალური აპარატით ხასიათდება. მისი ამბულაკრული ზონების გაგრძელებები ერთ წერტილში იკვეთებიან. ჩემს ნი-

მუშზე კი, წინა და უკანა ამბულაკრული ზონების წყვილთა გადაკვეთის წერტილები ერთმანეთისაგან დაშორებულია (5—6 მმ-ით).

გავრცელება — მცირე აზიის მასტრიხტული; აფხაზეთის (ბლაბურხვა-ოთხარა) დანიური.

სადაურობა — ხრამის ხეობა; სოფ. სისკლის მიდამოების კარბონატული წყების დანიურ კირქვებიდან.

კოლექცია — ავტორის.

რაოდენობა — ერთი.

ოჯახი OEROPSIDAE

გვარი Coraster Cotteau

Coraster sphaericus Seun.

1888. *Coraster sphaericus* Seunes, p. 861 pl. XXIX, fig. 3.

1940. *Coracter* cf. *sphaericus* რუხაძე, გვ. 114, ტაბ. I, სურ. 4.

1949. *Coraster sphaericus*, ცაგარელი, გვ. 181.

ხელთა მაქვს ორი ნიმუში რომელთა დაცულობა სავესებით დამაკმაყოფილებელი არ არის ზედაპირების გახეხვის გამო. მხოლოდ ერთ მათგანზე შეჩინილი არის ამბულაკრები. ნიმუშების ზომები ასეთია:

I	II
სიგრძე—22 მმ (1)	21 მმ (1)
სიგანე—21 მმ (0,95)	20 მმ (0,95)
სიმაღლე—20 მმ (0,9)	20 მმ (0,95)

ხეჭი თითქმის ოვალური მოყვანილობისაა. სიგრძე-სიგანე თითქმის თანაბარია, სიმაღლე—ოდნავ ნაკლები. ზედა მხარე მომრგვალებულია, თხემი ცენტრული. თხემიდან უკანა მხარისაკენ სუსტად გამოსახული ქედი მიუყვება. მომრგვალებულ წინა მხარეზე სუსტი ღარი არის განვითარებული. ქვედა მხარე სფეროვალად გამოდგრილია. აპიკალური აპარატი მოკლეა და თხემის წინ მდებარეობს. კენტი ამბულაკრი მოთავსებულია ღარში. პორული ზონები ვიწროა, ინტერპორული კი განიერი. პორები ძლიერ დაახლოებულ და ირიბ წყვილებად არის განლაგებული. თხემის მახლობლად პორთა წყვილი შემჭიდროვებულია, ქვევით კი დაშორებული. პერისტომი პატარაა, თითქმის წრიული, მოთავსებულია ხეჭის ქვედა მხარეზე, კიდეგან ახლოს. პერიპროქტი პატარაა, წრიული და უკანა მხარის ზედა კიდეზე მდებარეობს.

მსგავსება-განსხვავებანი — ნიმუშები ფორმით ჰგავს *Coraster vilanovae* Cott.-ს, მაგრამ ეს უკანასკნელი პატარა ზომისაა, უფრო წვარვლებული, უკანა მხარე ჩამოკვეთილი და აპიკალური აპარატიც თხემთან ახლოს აქვს განლაგებული.

გავრცელება — საფრანგეთის დანიური; საქართველოს (სურამი, ჩხერიმელა, აფხაზეთი) დანიური.

სადაურობა — ხრამის ხეობა; სოფ. სისკლის მიდამოების კარბონატულ წყების დანიურ კირქვებიდან.

კოლექცია — ავტორის.

რაოდენობა — ორი.

Coraster cf. munieri Seunes

1888. *Coraster munieri* Seunes, p. 808, pl. XXIX, fig. 4.

1949. *Coraster munieri* ცაგარელი, გვ. 181.

საშუალო დაცულობის რამდენიმე ნიმუშს, დეფორმაციის მიუხედავად, ამ სახისათვის დამახასიათებელი ნიშნები შერჩენილი აქვთ. ნიმუშები სუსტად წაგრძელებული არიან, სიმაღლე კი სიგანეზე ოდნავ ნაკლები აქვთ. საერთო მოყვანილობა გულისებურია, წინისაკენ ოდნავ გაფართოებული. ქვედა მხარე სუსტად გამობერილია, უკანა მხარე მეტად. ზედა მხარეზე განვითარებულია სუსტი ქედი.

პერიტომი ქვედა მხარეზეა კიდის მახლობლად და წრიული ფორმისაა, პერიპროქტი მდებარეობს წინა კიდესთან.

აპიკალური აპარატი ცუდად დაცულია. ამბულაკრული არეები არ ჩანს.

მსგავსება - განსხვავებანი - ნიმუში ფორმით წააგავს *Coraster sphaericus* Seunes-ს, მაგრამ ეს უკანასკნელი სფეროიული და უფრო დიდი ზომისაა. დიდი მსგავსებაა ჩემს ნიმუშსა და *Coraster frechii* Böhm-ს შორის, მაგრამ ეს უკანასკნელი გამობერილი წინა მხრით და ნაკლები სიდიდით ხასიათდება.

გავრცელება - დასავლეთ ევროპისა და საქართველოს დანიური.

სადაურობა - ხრამის ხეობა; სოფ. სისკლის მიდამოების კარბონატული წყების დანიურ კირქვებიდან.

კოლექცია - ავტორის,

რაოდენობა - ოთხი.

გვარი Homoeaster Pomel

Homoeaster cf. abichi Ant.

1899. *Inflataster Abichi* Anthula, S. 63, Taf. II, Fig. 6a-d.

1934. *Physaster Abichi* Шугреп, стр. 389, рис. 583 a, b, c.

1940. *Physaster cf. Abichi* რუხაძე, გვ. 112.

1949. *Physaster Abichi* ცაგარელი, გვ. 184.

1959. *Homoeaster abichi* Пославская и Москвин, стр. 274, таб. XVIII, рис. 2 а-в.

I

II

სიგრძე—33 მმ (1)	32 მმ (1)
სიგანე—31 მმ (0,94)	29 მმ (0,96)
სიმაღლე—25 მმ (0,76)	22 მმ (0,68)

ნიმუშები თითქმის თანაბარი სიგრძე-სიმაღლისა არიან. თხემი ექსცენტრულია. თხემიდან უკანა მხრისაკენ მიუყვება მეტ-ნაკლებად გამოსახული ქედი. გვერდები გამობერილია. ისინი მომრგვალებულად გადადიან ქვედა მხარეში. ქვედა მხარე სუსტად გამოხედილია შუა ხაზის გასწვრივ.

აპიკალური აპარატი დაცული არ არის, მაგრამ ჩანს, რომ იგი მოკლე უნდა ყოფილიყო. ასევე ცუდად არის დაცული ამბულაკრული არეებიც. ზოგ ადგილას ჩანს რამდენიმე ფირფიტა, ზედ განლაგებული პორებით. ინტერამ-

ბულაკრული არეები განიერია. პერისტომი წრიულია, მოთავსებულია ღრმა დებრესიაში. პერიპროქტი ოვალურია. იგი უკანა არის ზედა ნაწილშია მოთავსებული. ხევის გვერდითი და ქვედა მხარე დაფარულია პატარა კორდებით.

მსგავსება - განსხვავებანი — ეს სახე მსგავსია *Homoeaster inflatus* d'Orb.-სა, მაგრამ ეს უკანასკნელი ხასიათდება უფრო ციცაბო წინა მხარით და კარგად გამოსახული უკანა ქედით.

გავრცელება — *Anthula*-ს თავისი ნიმუში აღწერილი აქვს დალესტნის სენონურიდან (მწვ. შამხალ-დადი), სადაც იგი *Coraster vilanovae* Cott.-თან ერთად გვხვდება. საქართველოში ნაპოვნია ენგურის ხეობის და ხარაგოულის კამპან-მასტრიხტულში, აფხაზეთისა და სურამის დანიურში; ჩრდილო კავკასიაში დანიურიდან არის ცნობილი.

სადაურობა — ხრამის ხეობა; სოფ. სისკლის მიდამოების კარბონატული წყების დანიურ კირქვებიდან.

კოლექცია — ავტორის.

რაოდენობა — ორი.

კლასი LAMELLIBRANCHIATA

ოჯახი INOCERAMIDAE

გვარი *Inoceramus* Sowerby

ქვეგვარი *Inoceramus* Sowerby

Inoceramus inconstans Woods var. *tipica* Reung.

1912. *Inoceramus inconstans* Woods, vol. II, pt. VIII, p. 285, pl. LI, fig. 1, 2, text—fig. 39, 42, 43, 46.

1926. *Inoceramus inconstans* Woods var. *tipica* Реунген, стр. 49.

საშუალო დაცულობის ნიმუში მარჯვენა საგდულის კალაპოტს წარმოადგენს.

საგდული ძლიერ გამობერილია. კიდები მომრგვალებული აქვს. თხემი კიდურია, პატარა და წინ გადახრილი. თხემის უკან განვითარებულია პატარა ფრთა.

ლიგამენტის ხაზი თითქმის საგდულის სიგრძის ტოლია. საგდული დაახლოებით შუა ნაწილში მკვეთრად არის გარდატეხილი.

საგდული მოკაზმულია კონცენტრული ზრდითი რგოლობებით (*Anwachsringe*) და ტალღებით (*Anwachswellen*). საგდულის გარდატეხის ადგილიდან ქვევით კი მხოლოდ რგოლობები არის წარმოდგენილი.

მსგავსება - განსხვავებანი — ნიმუში მოყვანილობით ჰგავს *Inoceramus inconstans* Woods var. *subsarumensis* Reung.-ს, მაგრამ ამ უკანასკნელს უფრო წაგრძელებული და ნაკლებ გამობერილი საგდული ახასიათებს.

გავრცელება — ინგლისის ტურონულ-მასტრიხტული.

სადაურობა — თეთრიწყაროს მიდამოების კარბონატული წყების მასტრიხტულ კირქვებიდან.

კოლექცია—ავტორის.

რაოდენობა—ერთი.

Inoceramus cf. subsarumensis Reung.

1912. *Inoceramus inconstans* Woods, vol. II, pt. VII, p. 285, pl. LI, fig. 3, 4, text—fig. 48, 49 (non pl. LI, fig. 1, 2, nec text—fig. 39—47).

1926. *Inoceramus inconstans* Woods var. *subsarumensis* Ренгартен, стр. 50.

საშუალო დაცულობის ნიმუში მარცხენა საგდულის კალაპოტს წარმოადგენს. საგდული ძლიერ გამობერილია, რის გამოც სფერიული მოყვანილობა აქვს. თხემი დაბალია, ბლავი და შიგნით მოხრილი. თხემის მახლობლად ფრთისმაგვარი წანაზარდია განვითარებული. საგდული მოკაზმულია წვრილი, წესიერი კონცენტრული ნაოჭებით, რომლებიც კიდეების მოხაზულობას იმეორებენ.

მსგავსება-განსხვავებანი—ნიმუში რამდენადმე მოგვაგონებს *Inoceramus inconstans* Woods var. *tipica* Reung.

გავრცელება—ინგლისის სენონური (*Actinocamax quadratus*-ის ზონა), ჩრდილო კავკასიის სენონური.

სადაურობა—თეთრიწყაროს მიდამოების კარბონატული წყების მასტრიხტულ კირქვებიდან.

კოლექცია—ავტორის.

რაოდენობა—ერთი.

Inoceramus undulato-plicatus Römer var. *digitatus* Schlüt.

ტაბ. III, სურ. 2.

1912. *Inoceramus undulato-plicatus* Römer var. *digitatus* Woods, vol. II, pt. VIII, p. 307, text-fig. 62.

საშუალო დაცულობის ნიმუში მარჯვენა საგდულის შიგა კალაპოტს წარმოადგენს. მისი ზომებია: სიგრძე—200 მმ, სიმაღლე—180 მმ (არასრული).

საგდულს ოთხკუთხა-ოვალური მოყვანილობა აქვს. წინა, ქვედა და უკანა კიდეები ერთმანეთში თანდათანობით გადადიან. უკანა კიდე ლიგამენტის კიდეს რკალურ-კუთხედად უერთდება. ლიგამენტის სიგრძე საგდულის მთელი სიგრძის ნახევრამდე აღწევს.

თხემი კიდურია, პატარა, რამდენადმე წინ გადახრილი. ზედა კიდე ფრთისებურ წაგრძელებას ქმნის.

საგდული შუა ნაწილში ზომიერად გამობერილია.

საგდული მოკაზმულია წვრილი, კონცენტრული და კარგად გამოსახული რადიალური ნაოჭებით. რადიალურ ნაოჭებს რკალური მოხაზულობა აქვთ, ხოლო ფრთასთან მიახლოებისას მკვეთრი გარდატეხა ახასიათებთ, ისე რომ რამდენადმე ნამგლისებურ მოყვანილობას იღებენ. რადიალური ნაოჭები დაფარული არიან სუსტად გამოსახული კორძისებური გამსხვილებებით. რადი-

ალური ნაოჭები კარგად არიან გამოსახული წინა და უკანა მხარეზე, თხემთან და ღერძის ნაწილში კი შედარებით სუსტი ხდება.

მსგავსება - განსხვავებანი — ნიმუში *Inoceramus undulato-plicatus* R.ö.m.-ისგან განსხვავდება შედარებით წინ გაწვდილი წინა კიდით, კარგად გამოსახული ფრთით, უკანა ნახევარზე რადიალური ნაოჭების ნაკლები რიცხვით, შედარებით სუსტად გამოსახული კონცენტრული ნაოჭებითა და სუსტი კოპებით.

ჩემი ნიმუში ახლოა *Inoceramus undulato-plicatus* R.ö.m. var. *digitatus* Schüt.-თან, მაგრამ ეს უკანასკნელი შედარებით ვიწრო და ბალაია. ამიტომ ჩემი ნიმუში შეიძლება განვიხილოთ როგორც გარდამავალი *Inoceramus undulato-plicatus*-იდან *Inoceramus undulato-plicatus* var *digitatus*-ისაკენ.

გავრცელება — დასავლეთ ევროპის სანტონურ-კამპანური.

სადაურობა — მაშავერის ხეობის სანტონური ტუფქვიშაქვებიდან.

კოლექცია — ვ. ზესაშვილის.

რაოდენობა — ერთი.

Inoceramus balticus Böhm

1836. *Inoceramus Crippsi* Goldfuss, Bd. II, S. 110, Taf. 112, Fig. 4 b.

1846. *Inoceramus Crippsi*, Reuss, S. 25, Taf. 37, Fig. 12.

1871. *Inoceramus Crippsianus* Stoliczka, vol. III, p. 405, pl. 27, fig. 1—3.

1909. *Inoceramus balticus* Böhm, S. 113.

1912. *Inoceramus balticus* Woods, vol. II, pt. VIII, p. 293, text-fig. 51—53.

1913. *Inoceramus Crippsi* Böse, p. 28, lam. II, fig. 8.

1949. *Inoceramus balticus* ცაგარელი, გვ. 115.

საშუალო დაცულობის რამდენიმე ნიმუში დაცალბულ საგდულების კალპოტებს წარმოადგენენ. აღწერა ეკუთვნის ერთ-ერთ ყველაზე კარგად დაცულ ნიმუშს. რომლის ზომებია: სიგრძე—99 მმ, სიმაღლე—72 მმ, წინა კუთხე—145°, ღერძის კუთხე—55°.

საგდული ოვალური მოყვანილობის, ოდნავ გამობერილი და არათანაბარმხრანია. წინა კიდე რკალურია და შედარებით მოკლე. ლიგამენტის ხაზის სიდიდე საგდულის სიგრძის $\frac{1}{3}$ -ს შეადგენს. თხემი პატარაა, ოდნავ ამალბებული, არაკიდური.

საგდული მოკაზმულია კონცენტრული წიბოებით, რომლებიც საკუთარ განზე მეტი მანძილთ არიან დაშორებული ერთმანეთს.

მსგავსება - განსხვავებანი — ნიმუში წააგავს *Inoceramus goldfussianus* d'Orb.-ის, მაგრამ ეს უკანასკნელი ხასიათდება საგდულის უკანა ნაწილზე წიბოების უეცარი მოხვევით ლიგამენტისაკენ. ჩემი ნიმუში *Inoceramus regularis* d'Orb.-საგან განსხვავდება არაკიდური თხემით.

გავრცელება — გერმანიის ქვედა კამპანური; ინგლისის ზედა სანტონურ-ზედა კამპანური; ჩხერიმელის ხეობის კამპანური; სატანჯიოს, მოქვის, ძირულის ჩრდილო პერიფერიის (ბერეტცსა) მასტრიხტული.

სადაურობა — ხრამის მასივი; სოფ. ორმაშენის მიდამოების ვულკანოგენური წყების მესამე ქვეწებებიდან. სოფ. ფიტარეთის კამპანური და კარაკენდ-კოსოლარის მასტრიხტული კირქვებიდან.

კოლექცია—ავტორის.

რაოდენობა—სამი.

Inoceramus regularis d'Orb.

1843. *Inoceramus regularis* d'Orbigny, vol. III, p. 516, pl. 410.

1906. *Inoceramus regularis* Petrascheck. S. 155.

1942. *Inoceramus regularis* ცაგარელი, გვ. 117.

ხელთა მაქვს ორი მარჯვენა საგდულის წიგა კალაპოტი. აღწერა ეხება უკეთ დაცულ ნიმუშს. მისი ზომებია: სიგრძე—37 მმ, სიმაღლე—31 მმ, წინა კუთხე—100°, ღერძის კუთხე—60°.

საგდული არათანაბარმხრიანი და სუსტად გამობერილია. წინა კიდე რკალურია და მოკლე. დანარჩენი კიდეებიც რკალურია და ერთმანეთში თანდათანობით გადადიან. თხემი პატარაა, კიდური და ოდნავ ამოღლებული. საგდული მოკაზმულია მკვეთრად გამოხატული კონცენტრული წიბოებით. წიბოთაშორისი მანძილები დაფარულია კონცენტრული ზრდითი ხაზებით.

მსგავსება—განსხვავებანი—ნიმუში ფორმით და მოკაზმულობით ჰგავს *Inoceramus balticus* Böhm-ს, მაგრამ ამ უკანასკნელს არაკიდური თხემი, გაშვებული წინა კიდე და სიმეტრიული წიბოები ახასიათებს.

გავრცელება—საფრანგეთის სენონური; აზერბაიჯანის კამპანური; გერმანიის სენონური; საქართველოს ზედა კამპანურ-მაასტრიხტული.

სადაურობა—ხრამის ხეობა; სოფ. ციხნარის მიდამოების კარბონატული წყების კამპანურ კირქვებიდან.

კოლექცია—ავტორის.

რაოდენობა—ორი.

Inoceramus gosaviensis Reeng.

1866. *Inoceramus crippsi* Mant. var. *regularis* Zittel, S. 19, Taf. XIV. Fig. 3.

1947. *Inoceramus regularis* d'Orb. var. *gosaviensis* Ренгартен, in coll. Хаин, стр. 116.

მარცხენა საგდულის ერთი წიგა კალაპოტის ზომებია: სიგრძე—35 მმ, სიმაღლე—31 მმ.

საგდული სუსტად გამობერილი და არათანაბარმხრიანია. წინა კიდე რკალურია და შედარებით მოკლე. დანარჩენი კიდეებიც რკალურია და ერთმანეთში თანდათანობით გადადიან. თხემი არაკიდურია, პატარა და მცირედ ამოღლებული. საგდული მოკაზმულია მკვეთრი კონცენტრული წიბოებით. წიბოთაშორისი მანძილები დაფარულია კონცენტრული ზრდითი ხაზებით.

მსგავსება—განსხვავებანი—ნიმუში ფორმითა და მოკაზმულობით წააგავს *Inoceramus regularis* d'Orb.-ს, მაგრამ მისგან არაკიდური თხემით განირჩევა.

გავრცელება—ალპებში—გოზაუ; აზერბაიჯანის ზედა კამპანური.

სადაურობა—ხრამის მასივის აღმოსავლეთ პერიფერია; სოფ. ციხნარის მიდამოების კარბონატული წყების კამპანურ კირქვებიდან.

კოლექცია—ავტორის.

რაოდენობა—ერთი.

Inoceramus convexus Hall and Meek

ტაბ. II, სურ. 4.

1876: *Inoceramus convexus* Meek, p. 51, pl. XII, fig. 5.1913: *Inoceramus convexus* Böse, lam. III, fig. 3—5.1942: *Inoceramus convexus* ცაგარელი, გვ. 118.

საშუალო დაცულობის მარცხენა საგდულის კალაპოტის ზომებია: სიგრძე—65 მმ, სიმაღლე—52 მმ.

საგდულის კიდეები მომრგვალებულია. თხემი თითქმის კიდურია, წაწვეტებული, წინისაკენ და შიგნით მოხრილი. ლიგამენტის ხაზი სწორია. მისი სიგრძე საგდულის მთელი სიგრძის ნახევარზე მეტს შეადგენს.

საგდული გამობერილია, წინა მხარე საქმაოდ დაქანებული. საგდული მოკაზმულია კონცენტრული ნაოჭებით, რომლებიც კიდეების მოხაზულობას იმეორებენ.

მსგავსება-განსხვავებანი—ჩემი ნიმუში ჰგავს *Inoceramus balticus* Böhm-ს, მაგრამ განსხვავდება მისგან მეტად გამობერილი საგდულით და დაბალი, კიდური თხემით.

გავრცელება—ჩრდილო ამერიკის კამპანური; ჩხერიმელის ხეობის კამპანური.

სადაურობა—ხრამის ხეობის (სოფ. სისკლა) კარბონატული წყების კამპანური კირქვებიდან.

კოლექცია—ავტორის.

რაოდენობა—ერთი.

Inoceramus cf. *alaeformis* Zek.

ტაბ. II, სურ. 2.

1866: *Inoceramus Crippsi* var. *alaeformis* Zittel, S. 97, Taf. XIV, Fig. 5.1949: *Inoceramus alaeformis* ცაგარელი, გვ. 194.

საშუალო დაცულობის ნიმუში მარცხენა საგდულის კალაპოტს წარმოადგენს. მისი ზომებია: სიგრძე—66 მმ, სიმაღლე—51 მმ, წინა კუთხე—130°, ღერძის კუთხე—70°, უკანა კუთხე—170°.

საგდული სამკუთხედისებურ-ოვალური მოყვანილობისა და არათანაბარმხრიანია. კიდეები რკალურია და ერთმანეთში თანდათანობით გადადიან. წინა კიდე თხემიდან წინ არის გაწვდილი, თხემი პატარა და დაბალია.

ლიგამენტის ხაზის სიგრძე საგდულის სიგრძის ნახევარს უდრის.

საგდული მოკაზმულია წესიერი, კიდეების პარალელური, მკაფიო კონცენტრული წიბოებით.

მსგავსება-განსხვავებანი—ნიმუში ფორმითა და მოკაზმულობით წააგავს *Inoceramus balticus* Böhm-ს, მაგრამ განსხვავდება მისგან მეტი თანაბარმხრიანობით და წინ გაწვდილი წინა კიდით.გავრცელება—ევროპის ზედა ტურონულ-მაასტრიხტული (გოზაუ); ჩხერიმელის ხეობის და ძეგვის *balticus*-ებიანი კირქვები.

სადაურობა—ხრამის ხეობის (სოფ. კარაკენდ-კოსოლარი) კარბონატული წყების მაასტრიხტულ კირქვებიდან.

კოლექცია—ავტორის.

რაოდენობა—ერთი.

Inoceramus decipiens Zitt.

ტაბ. V, სურ. 4.

1866. *Inoceramus Crippsi* var. *decipiens* Zittel, S. 19. Taf. XV, Fig. 1.1939. *Inoceramus decipiens* Алиев, стр. 225, табл. II, рис. 1.1942. *Inoceramus decipiens* ცაგარელი, გვ. 119. ტაბ. VIII, სურ. 1.

ხელთა მაქვს ხუთი ნიმუში: სამი მარცხენა და ორი მარჯვენა საგდულის კალაპოტი. ზომებსა და აღწერას ვაძლევი ერთი ყველაზე კარგად დაცული ნიმუშის მიხედვით: სიგრძე—138 მმ, სიმაღლე—119 მმ, წინა კუთხე—130°, ღერძის კუთხე—50°.

საგდული წაგრძელებული ირიბი ოვალის მოყვანილობისაა, არათანაბარ-მხრიანი და სუსტად გამოხედილია. წინა კიდე რკალურია და დანარჩენ კიდეებთან შედარებით მოკლეა. იგი თანდათან გადადის რკალურ ქვედა კიდეში. უკანა კიდეც რკალურია და თანდათან უერთდება თითქმის სწორ ლიგამენტის კიდეს.

თხემი არაკიდურია, ამალღებული და შიგნით მოხრილი. საგდული მოკაზმულია კონცენტრული წიბოებით, რომლებიც თხემის მახლობლად და საგდულის შუა ნაწილში მკვეთრად არიან გამოხატული. უკანა მხარეზე და კიდეებისაკენ წიბოები შესუსტებული არიან.

მსგავსება - განსხვავებანი—ნიმუში მოყვანილობით და მოკაზმულობით რამდენადმე *Inoceramus balticus* Böhm-ს წააგავს, მაგრამ ეს უკანასკნელი მეტად არაკიდური თხემით, მოხრილი და გრძელი წინა კიდით, დაცილებული და სიმეტრიული წიბოებით ხასიათდება. ჩემი ნიმუში ჰგავს აგრეთვე *Inoceramus mülleri* Petr.-ს, მაგრამ ეს უკანასკნელი ასიმეტრიული წიბოებით და გრძელი ლიგამენტის კიდით ხასიათდება.

გავრცელება—ალპებში გოზაუს ფორმაცია (ზედა ტურონულ-მასტრიხტული), აზერბაიჯანის კამპანური, თრიალეთის ქედის სენონური.

სადაურობა—ხრამის მასივი; ყარაბულახის ხეობის ვულკანოგენური წყების ქვედა კამპანურ ტუფქვიშაქვებიდან.

კოლექცია—ავტორის.

რაოდენობა—ხუთი.

Inoceramus decipiens Zitt. mut. ant.

ტაბ. II, სურ. 3.

ხელთა მაქვს ერთი ნიმუში, რომელიც მარჯვენა საგდულის შიგა კალაპოტს წარმოადგენს.

მისი ზომებია: სიგრძე—83 მმ, სიმაღლე—70 მმ, წინა კუთხე—85°, ღერძის კუთხე—40°, უკანა კუთხე—135°.

საგდული სუსტად გამოხედილი და ოვალური მოყვანილობისაა. კიდეები ერთმანეთში თანდათანობით გადადიან. გამონაკლისს წარმოადგენს უკანა და ზედა კიდე, რომლებიც ერთმანეთს რკალურ-კუთხედად უერთდებიან.

თხემი კიდურია, პატარა და სუსტად ამალღებული. საგდული მოკაზმულია კონცენტრული წიბოებით, რომელთაგანაც ზოგი ორად იტოტება. ლიგამენტის ხაზი საგდულის მთელი სიგრძის ნახევარზე ოდნავ მეტია.

მსგავსება-განსხვავებანი. ნიმუში ძალიან ახლოა *Inoceramus decipiens* Zitt.-თან, მაგრამ განსხვავდება მისგან უფრო გრძელი ლიგამენტის ხაზით, შედარებით დაბალი თხებით და ბლავვი, მომრგვალებული წიბოებით.

ჩემი ნიმუში ჰგავს ჯერჯერ *Inoceramus mülleri* Petr.-ს, მაგრამ ამ უკანასკნელს უფრო მკვეთრად გამოსახული თხემი და პატარა ღერძის კუთხე ახასიათებს.

ვინაიდან ჩემი ნიმუში დროში წინ უსწრებს *Inoceramus decipiens* Zitt.-ს მე მას წინა ჯუტაციად ვთვლი.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა — ლოქის მასივის ვულკანოგენური წყების სანტონურ მერგელოვან კირქვებიდან.

კ ო ლ ე ქ ც ი ა — ავტორის.

რ ა ო დ ე ნ ო ბ ა — ერთი.

Inoceramus salisburgensis Fugger und Kastner

ტაბ. III, სურ. 5.

1906. *Inoceramus salisburgensis* Petrascheck, S. 164, Fig. 3.

1942. *Inoceramus salisburgensis*, ც ა გ ა რ ე ლ ი, გვ. 127, ტაბ. II, სურ. 3.

საშუალო დაცულობის ნიმუში მარცხენა საგდულის კალაპოტს წარმოადგენს. მისი ზომებია: სიგრძე—210 მმ, სიმაღლე—120 მმ.

საგდული წაგრძელებული ოვალის მოყვანილობისა და ძლიერ არათანაბარმზრიანია.

წინა კიდე რკალურია. იგი თანდათანობით გადადის თითქმის სწორხაზოვან ქვედა კიდეში. უკანა კიდე ქანითაა დაფარული, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ იგი ოდნავ დაქანებული უნდა იყოს.

თხემი კარგად გამოსახულია, წვეტიანი და წინ გადაწეული.

ლიგამენტის ხაზის სიგრძე საგდულის მთელი სიგრძის დაახლოებით $\frac{2}{3}$ -ს შეადგენს.

საგდული დაფარულია ზრდითი ტალღობებით (*Anwachsrundeln*). თხემის ნაწილში ტალღობები უფრო წვრილი და მიჯრილი არიან. მოზრდილობის სტადიაში კი უფრო დაბალი, ფართო და ერთმანეთს დაშორებულია.

მსგავსება-განსხვავებანი—ნიმუში ჰგავს *Inoceramus simonovitchi* Tsag.-ს, მაგრამ ამ უკანასკნელს უფრო დაბალი თხემი, პატარა წინა კუთხე და მძლავრად განვითარებული ნოჭები ახასიათებს.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა — ალპების ფლიშის *Belemnitella mucronata*-ს ზონა, საქართველოს მაასტრიხტული.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა — ხრამის ხეობის (სოფ. კარაკენდ-კოსოლარის) კარბონატული წყების მაასტრიხტულ კირქვებიდან.

კ ო ლ ე ქ ც ი ა — ავტორის.

რ ა ო დ ე ნ ო ბ ა — ერთი.

Inoceramus nebrascensis Owen

1876. *Inoceramus Sagensis* var. *Nebrascensis* Meek, p. 52, pl. 13.
fig. 2.

1942. *Inoceramus nebrascensis* ც ა გ ა რ ე ლ ი, გვ. 128, ტაბ. VIII, სურ. 2.

საშუალო დაცულობის ნიმუში მარჯვენა საგდულის შიგა კალაპოტს წარმოადგენს. მისი ზომებია: სიგრძე—185 მმ, სიმაღლე—170 მმ (არასრული), წინა კუთხე—130°, ღერძის კუთხე—60°, უკანა კუთხე—140°.

საგდული ძლიერ არათანაბარმზრდიანი და წრიული მოყვანილობისაა.

ლიგამენტის კიდე სწორხაზოვანია. ლიგამენტის ხაზი დაახლოებით საგდულის საერთო სიგრძის ნახევრის ტოლია. თხემი კიდურია, ამალღებული და შიგნით მოკაუჭებული. საგდული მოკაზმულია კონცენტრული წიბოებით. წიბოები ორგვარია: სუსტი და ძლიერი. ისინი ზოგჯერ ერთდებიან და ქმნიან ერთ წყვილს.

მსგავსება-განსხვავებანი.—ნიმუში რამდენადმე *Inoceramus vanuxemi* Meek-ს წააგავს, მაგრამ ამ უკანასკნელს პატარა თხემი, უფრო სიმეტრიული და დაუტოტავი წიბოები ახასიათებს.

გავრცელება—ჩრდილო ამერიკის ქვედა კამპანური; საქართველოს სენონური; გერმანიის *Belemnitella mucronata*-ს ზონა.

სადაურობა—ყარაბულახის ხეობის ვულკანოგენური წყების ქვედა კამპანურ ტუფქვიშაქვებიდან.

კოლექცია—ავტორის.

რაოდენობა—ერთი.

Inoceramus planus Müst.

1836. *Inoceramus planus* Goldfuss, S. 110, Taf. 113, Fig. 11.

1845. *Inoceramus planus* Reuss, S. 25, Taf. 37, Fig. 11.

1850. *Inoceramus planus* d'Orbigny, vol. II, p. 250.

1942. *Inoceramus planus* ცაგარელი, გვ. 132, ტაბ. IV.

საშუალო დაცულობის ნიმუში ორივე საგდულის კალაპოტით არის წარმოდგენილი. მისი ზომებია: სიგრძე—200 მმ, სიმაღლე—250 მმ.

საგდული სუსტად გამოხედილი და მომრგვალებულ-რომბისებური მოყვანილობისაა. ქვედა და უკანა კიდეები რკალურია, წინა კიდე მათთან შედარებით სწორხაზოვანია. თხემი კიდურია, პატარა, წვეტიანა და წინისაკენ მოკაუჭებული. ლიგამენტის ხაზი მოკლეა. საგდული მოკაზმულია სუსტი ზრდიით ტალღობებით.

მსგავსება-განსხვავებანი—ჩემი ნიმუში მოყვანილობით და მოკაზმულობის ხასიათით რამდენადმე წააგავს *Inoceramus georgicus* Tsag.-ს, მაგრამ ამ უკანასკნელს შედარებით ნაკლები სიმაღლე, პატარა თხემი და გრძელი ლიგამენტის ხაზი ახასიათებს.

გავრცელება—გერმანიის სენონური; საქართველოს მაასტრიხტული. სადაურობა—ხრამის ხეობის (სოფ. კარაკენდ-კოლოსარის მიდამოების) კარბონატული წყების მაასტრიხტულ კირქვებიდან.

კოლექცია—ავტორის.

რაოდენობა—ერთი.

Inoceramus simonovitchi Tsag.

ტაბ. V, სურ. 5.

1942. *Inoceramus simonovitchi* ცაგარელი, გვ. 121, ტაბ. III, სურ. 2.

საშუალო დაცულობის მარჯვენა საგდულის შიგა კალაპოტს აქა-იქ შერჩენილი აქვს ნიჟარის პრიზმული შრე. სიგრძე—140 მმ (არასრული), სიმაღლე—130 მმ, წინა კუთხე—110°, ღერძის კუთხე—50°.

საგდული ირიბი ოვალის მოყვანილობისა და ძლიერ არათანაბარზრია-ნია. კიდეები რკალურია და ერთმანეთში თანდათანობით გადადიან. გამო-ნაკლის ზედა კიდე წარმოადგენს, რომელიც თითქმის სწორხაზობრივია.

საგდული თანაბრად და ზომიერად არის გამობერილი. წინა მხარე ცი-ცაბოა და საგდულების გამყოფი სიბრტყის მიმართ თითქმის მართობული. ქვედა კიდესთან საგდულის უეცარი გარდატეხა ისახება.

საგდული მოკაზმულია მძლავრი, ოდნავ უწესო კონცენტრული წიბო-ებით (*Anwachsreifen*), რომლებიც მოზრდილობაში უკანა მხარეზე სუსტდე-ბიან. შეიმჩნევა აგრეთვე კონცენტრული შტრიხები.

თხემი კიდურია, პატარა, დაბალი და სუსტად მოკაუჭებული.

მსგავსება - განსხვავებანი - ნიმუში ფორმითა და მოკაზმულო-ბით წააგავს *Inoceramus balticus* B ö h m-ს, მაგრამ ეს უკანასკნელი უფრო პატარა ზომით, მაღალი თხემით, ვიწრო და ახლას განლაგებული კონცენ-ტრული წიბოებით ხასიათდება.

გ ა გ რ ც ე ლ ე ბ ა — საქართველოს კამპანურ-მასტრიხტული.

ს ა და უ რ ო ბ ა — ხრამის მასივი; შორმოლეთის მიდამოების ვულკანოგე-ნური წყების მესამე ქვეწყების ქვედა კამპანურ კირქვებიდან.

კ ო ლ ე ქ ც ი ა — ავტორის.

რ ა ო დ ე ნ ო ბ ა — ერთი.

Inoceramus cf. *colchicus* Tsag.

1942. *Inoceramus colchicus* ც ა გ ა რ ე ლ ი, გვ. 123, ტაბ. IV, სურ. 2.

საშუალო დაცულობის ნიმუში მარჯვენა საგდულის კალაპოტს წარმო-ადგენს. მისი ზომებია: სიგრძე (არასრული)—132 მმ, სიმაღლე—150 მმ.

საგდული არათანაბარზრიაანი და სუსტად გამობერილია, კიდეები მო-მრგვალებულია და ერთმანეთში თანდათან გადადიან. წინა კიდე შედარებით მოკლეა. თხემი კიდურია, პატარა და სუსტად მოხრილი. ლივამენტის ხაზის სიგრძე საგდულის საერთო სიგრძის ნახევრამდე აღწევს.

საგდული მოკაზმულია ხშირი კონცენტრული წიბოებით, რომლებიც ნიჟარის მოზრდილობის სტადიაში ტალღობრივობის ხასიათს იღებენ.

მსგავსება - განსხვავებანი — *Inoceramus colchicus* T s a g. წარმო-ადგენს გარდამავალ ფორმას *Inoceramus simonovitchi* T s a g.-დან *Inocera-
mus georgicus* T s a g.-საკენ. პირველისაგან განსხვავდება ტალღობრიობის ხა-სიათის წვრილი, ხშირი წიბოების არსებობით, ხოლო მეორისაგან მძლავრად განვითარებული მოკაზმულობით.

გ ა გ რ ც ე ლ ე ბ ა — საქართველოს კამპანურ-მასტრიხტული.

ს ა და უ რ ო ბ ა — ხრამის ხეობის (სოფ. კარაკენდ-კოსოლარის) კარბო-ნატული წყების მასტრიხტულ კირქვებიდან.

კ ო ლ ე ქ ც ი ა — ავტორის.

რ ა ო დ ე ნ ო ბ ა — ერთი.

Inoceramus georgicus Tsag.

1942. *Inoceramus georgicus* ცაგარელი, გვ. 122, ტაბ. III, სურ. 1.

საშუალო დაცულობის ნიმუშები ყველა დაცალეხული საგდულების კალაპოტებს წარმოადგენენ. ზოგი ერთ მათგანზე შერჩენილია ნივარის პრიზმული შრე. ტიპური ნიმუშის ზომებია: სიგრძე—150 მმ, სიმაღლე—210 მმ, წინა კუთხე—130°, ღერძის კუთხე—60°.

საგდულის კიდეები მომრგვალებულია, წინა და უკანა კუთხეები ბლაგვია, რაც საგდულს დისკოსებურ მოყვანილობას აძლევს. თხემი პატარაა, კიდეური და სუსტად მოკაუჭებული. ერთ-ერთ ნიმუშზე შერჩენილია ლიგამენტი. მისი სიგრძე საგდულის სიგრძის $\frac{2}{3}$ -ს აღწევს.

საგდული მოკაზმულია სუსტი ზრდითი ტალღობებით და მკაფიოდ გამოსახული წვრილი ზრდითი ხაზებით.

მსგავსება-განსხვავებანი—ნიმუშები რამდენადმე *Inoceramus colchicus* Tsag.-ს ჰგავს, მაგრამ ამ უკანასკნელს თხემი შედარებით მაღალი და მკვეთრად გამოსახული, ხოლო კონცენტრული წიბოები უფრო ძლიერად აქვს განვითარებული. ჩემი ნიმუშები წააგავს აგრეთვე *Inoceramus planus* Münst. (იხ.).

გავრცელება—ჩხერიმელის ხეობის კამპანურ-მაასტრიხტული.

სადაურობა—თეთრიწყაროს მიდამოების კარბონატული წყების მაასტრიხტულ კირქვებიდან; ხრამის ხეობის მაასტრიხტულ კირქვებიდან.

კოლექცია—ავტორის.

რაოდენობა—ხუთი.

Inoceramus subquadratus Schlüt.

ტაბ. I, სურ. 4.

1911. *Inoceramus subquadratus* Andert, S. 60. Taf. V, Fig. 7.

1929. *Inoceramus subquadratus* Heine, S. 34, Taf. I, Fig. 1, 2.

1942. *Inoceramus subquadratus* ცაგარელი, გვ. 124, ტაბ. I, სურ. 1.

საშუალო დაცულობის ნიმუში ცალი საგდულის შიგა კალაპოტს წარმოადგენს. ვინაიდან ნიმუშის სრული პრეპარაცია არ ხერხდება, ზომები მოცემული არ არის. წინა კუთხე—70°, უკანა კუთხე—110°.

საგდული კვადრატული მოხაზულობის, არათანაბარმხრიანი და სუსტად გამოხერხილია. წინა კიდე დაქანებულია. მოკაზმულობის ხასიათი გვიჩვენებს, რომ კიდეები მომრგვალებული უნდა ყოფილიყვნენ და ერთმანეთში თანდათან უნდა გადადიოდნენ.

თხემი არაკიდურია, პატარა და ოდნავ ამალეხული. საგდული მოკაზმულია მკაფიო, წვრილი კონცენტრული წიბოებით, რომელთაც რამდენადმე კვადრატული მოხაზულობა აქვთ.

მსგავსება-განსხვავებანი—ნიმუში ჰგავს *Inoceramus alaeformis* Zek.-ს, მაგრამ ეს უკანასკნელი უფრო წრიული მოყვანილობის წიბოებით ხასიათდება. *Inoceramus cycloides* Wegn. ჩემი ნიმუშისაგან განსხვავდება ისევე წრიული წიბოებით.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა — ევროპის ემშერი; საქართველოს კონიაკურ-სანტონური.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა — ხრამის ხეობის ვულკანოგენური წყების კონიაკურ-სანტონურ ტუფებიდან.

კ ო ლ ე ქ ც ი ა — ავტორის.

რ ა ო დ ე ნ ო ბ ა — ერთი.

Inoceramus subquadratus Schlüt. var. *gomerensis* n. var.

ტაბ. V, სურ. 2.

ერთი ნიმუში მარჯვენა საგდულის კალაპოტს წარმოადგენს. ნიმუშზე შემორჩენილია ნიჟარის პრიზმული შრის ნაწილები. საგდულის ზომებია: სიგრძე—120 მმ, სიმაღლე—95 მმ, წინა კუთხე—130°, ღერძის კუთხე—70°, უკანა კუთხე—130°.

საგდულს თითქმის კვადრატული მოხაზულობა აქვს და სუსტად გამოხეირილია. წინა კიდე გაშვერილია. იგი თანდათანობით გადადის რკალურ ქვედა კიდეში. ასეთივეა გადასვლა ქვედა კიდიდან უკანაში. უკანა კიდე ზედა კიდესთან რკალურ კუთხეს ქმნის. საგდულის ზედა—უკანა მხარე ბრტყელია და ფრთისებურად გაშვერილი.

თხემი არაკიდურია, პატარა, ლიგამენტის ხაზზე ოდნავ ამალღებული. ლიგამენტის ხაზის სიგრძე საგდულის მთელი სიგრძის ნახევარზე მეტია.

საგდული მოკაზმულია წვრილი, მკაფიო კონცენტრული ზრდითი წიბოებით. ნიჟარის მოზრდილობის სტადიაში წიბოები დაბალი და ფართოა. წიბოები იმეორებენ საგდულის მოხაზულობას. წიბოები და წიბოთაშორისი მანძილები დაფარულია კონცენტრული შტრიხებით.

მ ს გ ა ვ ს ე ბ ა - გ ა ნ ს ხ ვ ა ე ბ ა ნ ი — ნიმუში *Inoceramus subquadratus* Schlüt.-ს ჰგავს თხემის ფორმით, წიბოების მოხაზულობითა და ხასიათით (მხოლოდ ახალგაზრდობის სტადიაში), მაგრამ განსხვავდება მისგან სიდიდითა და წიბოების ხასიათით მოზრდილობისას. ამ ნიშნების გამო მე დასაშვებად ვთვლი ჩემი ნიმუში ახალ სახესხვაობად მივიჩნია.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა — ხრამის მასივი; ვულკანოგენური წყების მერველოვან კირქვებიდან (სანტონურ-ქვედა კამპანური).

კ ო ლ ე ქ ც ი ა — ავტორის.

რ ა ო დ ე ნ ო ბ ა — ერთი.

Inoceramus cf. *vanuxemi* Meek and Hayden

ტაბ. V, სურ. 3.

1876. *Inoceramus Vanuxemi* Meek, p. 57, pl. XIV, fig. 2.

1942. *Inoceramus Vanuxemi* ც ა გ ა რ ე ლ ი, გვ. 129.

ერთი ნიმუში მარჯვენა საგდულის კალაპოტს წარმოადგენს. ნიმუშს უკანა მხარე ჩამოტეხილი აქვს, ამიტომ სიგრძე ზუსტად არ იზომება. წინა კუთხე 110°, უკანა კუთხე—70°.

თხემი კიდურია, პატარა და სუსტად გამოსახული. წინა კიდე რკალურია. ლიგამენტის ხაზის სიგრძე 6—სმ-დეა. საგდული მოკაზმულია დაბალი, წესიერი კონცენტრული წიბოებით.

მსგავსება-განსხვავებანი—ნიმუში წააგავს *Inoceramus nebrascensis* Owen-ს, მაგრამ ეს უკანასკნელი კარგად გამოსახული თხემით და პატარა ლერძის კუთხით ხასიათდება. ჩემი ნიმუში *Inoceramus cycloides* Wegn.-საგან განსხვავდება დიდი წინა კუთხით და პატარა თხემით.

გავრცელება—ჩრდილო ამერიკის ქვედა კამპანური.

სადაურობა—ხრამის მასივი; ციხნარის მიდამოების კარბონატული წყების კამპანურ კირქვებიდან.

კოლექცია—ავტორის.

რაოდენობა—ერთი.

Inoceramus cf. *balchi* Meek and Hayden

ტაბ. III, სურ. 4.

1876. *Inoceramus balchi* Meek, pl 56, pl. 15, fig. 1 a, b.

ხელთ მაქვს საშუალო დაცულობის ორი ნიმუში. ერთ-ერთი მათგანს თხემის ნაწილი მოტეხილი აქვს. ნიმუშის ზომები, რომელსაც აღწერა ეხება ასეთია: სიგრძე—165 მმ, სიმაღლე—140 მმ.

საგდულს ოვალური მოყვანილობა აქვს. წინა კიდე შედარებით მოკლეა. ლიგამენტის ხაზის სიგრძე მთელი სიგრძის ნახევარზე ოდნავ ნაკლებია. საგდულის წინა ნახევარი სუსტად გამოხერხილია, შუა და უკანა მხარე კი გაბრტყელებული. თხემი კარგად გამოსახული, ოდნავ ამალღებული და ოდნავ უკან მოხრილია. საგდული მოკაზმულია დაშორებული, დაბალი წიბოებით. ისინი თხემზე და წინა მხარეზე კარგად გამოსახულნი არიან.

მსგავსება-განსხვავებანი—ნიმუშები ფორმით და რამდენადმე მოკაზმულობით ჰგავს *Inoceramus nebrascensis* Owen-ს, მაგრამ ეს უკანასკნელი ხასიათდება წვრილი, შეახლოებული და ზოგჯერ დატოტვილი წიბოებით.

გავრცელება—ჩრდილო ამერიკის კამპანური.

სადაურობა—ხრამის მასივი; სოფ. ორმაშენის მიდამოებისა და ხრამის ხეობის ვულკანოგენური წყების ქვედა კამპანური კირქვებიდან.

კოლექცია—ავტორის.

რაოდენობა—ორი.

Inoceramus barabini Mort.

ტაბ. I, სურ. 3.

1876. *Inoceramus crippsi* var. *Barabini* Meek, p. 49, text-fig. 1, 2, pl. 13, fig. 1 a, b, c. (non pl. 12, fig. 3).

1913. *Inoceramus Barabini* Bøse, p. 37, lam. III, fig. 7, lam. IV, fig. 1.

საშუალო დაცულობის ნიმუში მარჯვენა საგდულის შიგა კალაპოტს წარმოადგენს. საგდულის ზედა-უკანა მხარე ქანითაა დაფარული და ამიტომ სიგრძე არაზუსტია.—47 მმ (?), სიმაღლე—30 მმ, წინა კუთხე—95°, ლერძის კუთხე—35°.

საგდულს ზომიერად გამოხერხილი და წაგრძელებული ოვალის მოყვანილობისაა. წინა კიდე რკალურია. იგი თანდათან გადადის რკალურსავე ქვედა კიდეში. უკანა კიდეც რკალური უნდა იყოს. იგი ზედა კიდესთან რკალურ კუთხეს ქმნის, რაზედაც მოკაზმულობის ხასიათი მეტყველებს. ზედა, საბმის კიდე, სწორხაზოვანია.

თხემი კიდურია, დაბალი და ოდნავ წინ წახრილი. საგდული მოკაზმულია კარგად გამოსახული კონცენტრული ქედობებიანი წიბოებით (*Anwachszammreifen*). წიბოები წინა კიდესთან უხვევენ. და აწყდებიან მას, ხოლო სვედა კიდის პარალელური არიან.

მსგავსება-განსხვავებანი—ნიმუში ფორმითა და მოკაზმულობით რამდენადმე ჰგავს *Inoceramus balticus* Bohm-ს, მაგრამ ამ უკანასკნელს აკლებად დაქანებული წინა კიდე და შედარებით მაღალიარაკიდური თხემი აქვს.

გავრცელება—ჩრდილო ამერიკის ქვედა კამპანური.

სადაურობა—ხრამის მასივი; სოფ. ციხნარის მიდამოების კარბონატული წყების კამპანურ კირქვებიდან.

კოლექცია—ავტორის.

რაოდენობა—ერთი.

Inoceramus cf. caucasicus Dobr.

ტაბ. IV, სურ. 2.

1951. *Inoceramus caucasicus* Дობров, стр. 167, табл. II, рис. 2.

საშუალო დაცულობის ნიმუში მარჯვენა საგდულის შიგა კალაპოტს წარმოადგენს. სიგრძე—36 მმ, სიმაღლე—31 მმ, წინა კუთხე—95°, ღერძის კუთხე—35°.

საგდული სუსტად გამობერილი, მომრგვალებულ-სამკუთხედისებური მოყვანილობისაა. წინა, ქვედა და უკანა კიდეები რკალურია და თანდათანობით გადადიან ერთმანეთში. ზედა კიდე სწორხაზოვანია. ლიგამენტის ხაზის სიგრძე—18 მმ-დგა. თხემი კიდურია, წვეტიანი, ოდნავ შიგნით მოკაუჭებული. საგდული მოკაზმულია კონცენტრული ზრდითი ტალღობებით. საბმის კიდესთან მიახლოებისას ზრდითი ტალღობები მკვეთრად უხვევენ და თანდათან ქრებიან. კონცენტრული მოკაზმულობის გარდა განვითარებულია წვრილი რადიალური შტრიხები, რომლებიც კონცენტრული მოკაზმულობის გადაკვეთისას ქმნიან სუსტად გამოსახულ კოპებს. ნიმუშზე რადიალური შტრიხები ძლიერ სუსტად არიან გამოსახული და, როგორც ს. დობროვი აღნიშნავს ზოგიერთი თავის ნიმუშისათვის, მკაფიოდ ჩნდებიან გვერდითი განათების დროს.

მსგავსება-განსხვავებანი—ნიმუში ფორმითა და მოკაზმულობით წააგავს *Inoceramus tegulatus* Hag-ს, მაგრამ ამ უკანასკნელს, უფრო მკვეთრი რადიალური ღარები აქვს, რის გამოც კოპები კარგადაა გამოსახული.

გავრცელება—ჩრდილოეთ კავკასიის ზედა მაასტრიხტული.

სადაურობა—თეთრი წყაროს რაიონი; გომერის მთის ზედა ცარცულ კარბონატული წყების მაასტრიხტულ კირქვებიდან.

კოლექცია—ავტორის.

რაოდენობა—ერთი.

ქვევარი *Cordiceramus Heinz**Cordiceramus cf. brancoi* Wegn.

ტაბ. III, სურ. 1.

1905. *Inoceramus brancoi* Wegner, S. 159, Text-tall. 4.1949. *Cordiceramus brancoi* ც ა გ ა რ ე ლ ი, გვ. 203.

საშუალო დაცულობის ნიმუში მარჯვენა საგდულის კალაპოტს წარმოადგენს. მისი ზომებია: სიგრძე—120 მმ, სიმაღლე—103 მმ, წინა კუთხე—130° ღერძის კუთხე—70°.

მოკაზმულობის ხასიათი გვიჩვენებს, რომ საგდული ირიბი ოვალის ფორმისა იქნებოდა. წინა კიდე რკალურია, ლიგამენტის კიდე თითქმის სწორხაზოვანი. თხემი არაკიდურია, დიდი, მიგნით მოკაშუქებული, წინისაკენ სუსტად გადახრილი, ამალღებული. საგდული მოკაზმულია ზრდითი ტალღობებით. თხემზე და მის მახლობლად განვითარებულია წვრილი წიბოები.

საგდულის უკანა ნახევარზე, ლიგამენტის კიდის მიმართ, 40°—45°-ით დახრილად, განვითარებულია რადიალური ღარი (*Radialfurche*). ეს ღარი წარმოშობილია კონცენტრული ნაოჭების შესუსტებით.

მსგავსება-განსხვავებანი—ნიმუში თხემის მოყვანილობით და ნაწილობრივ მოკაზმულობით ჰგავს *Cordiceramus haenleini* G. Müller-ს, მაგრამ ამ უკანასკნელს მეტად მაღალი და წინ გადახრილი თხემი ახასიათებს.

გავრცელება—გერმანიის ქვედა სენონური; ხარაგოულის რაიონის სანტონური.

სადაურობა—ხრამის მასივი; სოფ. ტანძის მიდამოების ეულკანოგენური წყების სანტონურ ტუფქვიშაქვებიდან.

კოლექცია—ავტორის.

რაოდენობა—სამი.

Cordiceramus haenleini G. Müller var. *chramensis* n. var.

ტაბ. III, სურ. 3.

ქარგი დაცულობის ორი ნიმუშებიდან ერთი მარჯვენა საგდულის კალაპოტია, მეორე კი მარცხენასი.

მარჯვენა საგდული	მარცხენა საგდული
სიგრძე—210 მმ	250 მმ
სიმაღლე—240 მმ	240 მმ
წინა კუთხე—120°	110°
ღერძის კუთხე—70°	70°

მარჯვენა საგდულს უკანა კიდე ოდნავ ჩამომტვრეული აქვს, ამიტომ მისი სიგრძე არასრულია. საგდული ზომიერად გამოზერძილია, არათანაბარ-მხრიანი და ირიბ-ოვალური მოყვანილობისაა.

წინა კიდე რკალურია. იგი თანდათან გადადის რკალურსავე ქვედა კიდეში. უკანა კიდეც რკალურია, მხოლოდ რამდენადმე დაქანებული. ლიგამენტის კიდე სწორია. მისი სიგრძე დაახლოებით საგდულის სიგრძის ნახევარს შეადგენს.

თხემი კიდურია, ლიგამენტის ხაზზე ამალღებული, წინისკენ ძლიერ გადახრილი და მოკაუჭებული.

საგდული მოკაზმულია ზრდითი ტალღობებით, რომლებიც თხემის ნაწილში ახლოს არიან მიჯრილი, ქვევით კი ერთმანეთს სცილდებიან. ზოგიერთ ტალღობს ემჩნევა გაორება. თხემის ბოლოდან ქვედა უკანა კიდისაკენ, ლიგამენტის ხაზის მიმართ 50—60°-ით დახრილად, მიუყვება სუსტი რადიალური დებრესია, რომელიც კონცენტრული ტალღობების შესუსტებით არის წარმოშობილი,

მსგავსება-განსხვავებანი—ნიმუში *Cordiceramus haenleini* G. Müll.-ს ჰგავს თხემის საერთო მოყვანილობით, მოკაზმულობითა და რადიალური ღარით, მაგრამ მისგან განსხვავებით ჩემი ნიმუშის თხემი ძლიერ მკვეთრად გამოსახულია და ლიგამენტის ხაზის მიმართ მეტად ამალღებული, რადიალური ღარი უფრო მეტად დახრილია და ზომაც გაცილებით დიდია. მეორე მხრივ საგდულის მოზრდილობის ნაწილის ფორმით, სკულპტურით და ზომით ჩემი ნიმუში *Inoceramus salisburgensis* F et K-ს უახლოვდება. ამიტომ იგი შესაძლებლად მიმაჩნია ამ ორ სახეს შორის გარდამავლად ჩავთვალო და ახალ სახესხვაობად გამოვყო.

სადაურობა—ხრამის მასივის სამხრეთი პერიფერია; ყარაბულახის ხეობის ზედა ცარცულ ვულკანოგენურ წყებიდან. ნაპოვნია *Inoceramus decipiens* Zitt.-თან ერთად (ქვედა კამპანური).

კოლექცია—ავტორის.

რაოდენობა—ორი.

Cordiceramus azerbaijanensis Aliev

ტაბ. VI, სურ. 4 a, b.

1939. *Inoceramus cordiformis* S o w. var. *azerbaidjanensis* Алиев, стр. 228, табл. II, рис. 2 a, b, табл. III, рис. 3.

საშუალო დაცულობის სამი ნიმუშიდან ორი მარცხენა საგდულის შიგა კალაპოტია, ერთი კი მარჯვენასი. ერთ მათგანზე შერჩენილია ნიჟარის პრიზმული შრე. ტიპური ნიმუშის ზომებია: სიმაღლე—36 მმ, სიგრძე—28 მმ.

საგდულს ირიბად დაქანებული ოვალის მოყვანილობა აქვს. წინა კიდე რკალურია; იგი თანდათანობით გადადის რკალურსავე ქვედა კიდეში. ეს უკანასკნელი ზოგჯერ შეზნექილიც კი არის. უკანა კიდე რკალურია. იგი ქვედა კიდესთან რკალურ კუთხეს ქმნის. ლიგამენტის კიდე თითქმის სწორხაზოვანია და სუსტად გამოსახულ ფრთას ქმნის. ლიგამენტის ხაზის სიგრძე საგდულის სიგრძის ნახევარს უდრის. საგდულის წინა მხარე ციცაბოა (შვეულამდე), დანარჩენი ნაწილი კი ღამრეცი.

თხემი სუსტად გამოსახული, თითქმის კიდური და ოდნავ შიგნით მიხრილია. საგდული მოკაზმულია ოდნავ ასიმეტრიული მკვეთრი კონცენტრული წიბოებით.

თხემიდან ქვედა უკანა კიდისაკენ მიუყვება რადიალური ღარი, რომელიც საგდულს ორ არათანაბარ ნაწილად ყოფს.

მსგავსება-განსხვავებანი—ჩემი ნიმუში ფორმითა და მოკაზმულობით წააგავს *Cordiceramus cordiformis* S o w.-ს, მაგრამ ეს უკანასკნელი

ნაკლებ წაგრძელებულია, უფრო გრძელი წინა კიდე და მკვეთრი და მაღალი თხემი აქვს.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა — აზერბაიჯანის კამპანური.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა — გედგ-ჩაისა და მაშავერის წყალგამყოფის ვულკანოგენური წყების სანტონურ მერგელოვან კირქვებიდან; თეთრი-წყაროს მიდამოების კარბონატული წყების კამპანურ კირქვებიდან.

ქ ო ლ ე ქ ც ი ა — ავტორის.

რ ა ო ღ ე ნ ო ბ ა — სამი.

კლასი CEPHALOPODA

ოჯახი PACHYDISCIDAE

გვარი Pachydiscus Zittel

Pachydiscus neubergicus Hauer

ტაბ. IV, სურ. 3.

1869. *Ammonites neubergicus* Favre, p. 14, pl. IV, fig. 2,3.

1872. *Ammonites neubergicus* Schlüter, S. 59, Taf. XVIII, Fig. 1—3.

